15/03/2024

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი ქართული გალობის 29 ტომეულის გამოცემის გამო:



ქართული გალობა დაეფუძნა ქართულ ლიტურგიკულ მწერლობასა და უძველეს ეროვნულ მრავალხმიანობას. ეს საეკლესიო ხელოვნება ჩვენი ერის იდენტობისა და მსოფლმხედველობის გამომხატველია. მისი ფესვები იერუსალიმის ეკლესიის ტრადიციებთან იყო დაკავშირებული და ეს ბუნებრივია, რადგან X ს-ის ბოლომდე ჩვენ ღვთისმსახურების იერუსალიმურ წესს მივდევდით და ლიტურგიკული პრაქტიკაც იერუსალიმური გვქონდა; ხოლო X-XI საუკუნეებში იგი კონსტანტინეპოლურმა შეცვალა და დომინანტის მდგომარეობა მოიპოვა. ახალი წესის ჩვენთან დამკვიდრება ათონზე მოღვაწე ქართველ მამებს უკავშირდება, რომელთა შორის წმ. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი გამორჩეულად დიდია. რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებები შემდგომაც ხდებოდა, მაგრამ სამგალობლო-ლიტურგიკული ტექსტების ცვლილებების ახალი ტალღა XVIII ს-ის შუა წლებისთვის გამოიწვია სლავური საღვთისმსახურო კრებულების მიხედვით განხორციელებულმა ჩასწორებებმა.

მთელი ამ ხნის მანძილზე ჩვენმა ერმა მაინც შეძლო, გალობაში შეძენილი ცოდნა თავისი შემოქმედებითი გენიით ისე განევითარებინა, რომ ტრადიციულ

მრავალხმიანობასთან ერთად, იგი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენად იქცა.
XIX საუკუნეში მეფის რუსეთის რეჟიმმა, ქართულ ენასთან ერთად, ქართული გალობის აკრძალვაც მოინდომა, რათა ეროვნული იდენტობის ეს გამოვლინებანი (და სხვანიც) წაეშალა ჩვენში. შეიქმნა უნიკალური მემკვიდრეობის განადგურების საფრთხე, რაც შემდგომ, ათეისტური რეჟიმის პირობებში, კიდევ უფრო გამძაფრდა. სწორედ ამან განაპირობა საგალობლების ნოტებზე ჩაწერის აუცილებლობა. ეს პირველად 1842 წელს განხორციელდა (არქიმანდრიტ სოფრონ ერისთავისა და ანდრია მრევლიშვილის მიერ). საგალობელთა უდიდესი რაოდენობა კი, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში და XX საუკუნის დასაწყისში ჩაიწერეს.
ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს წმინდანად შერაცხულებმა: ილია მართალმა (ჭავჭავაძემ), ალექსანდრე და გაბრიელ ეპისკოპოსებმა, დიმიტრი ყიფიანმა. შეუფასებელი შრომა გასწიეს: წმინდა ფილიმონ ქორიძემ, ძმებმა კარბელაშვილებმა და ექვთიმე კერესელიძემ; ასევე დიდმა მოღვაწეებმა, – რაჟდენ ხუნდაძემ, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვმა, დავით ჩიჯავაძემ, დავით მოლოდინაშვილმა, მიხეილ ელიზბარაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, ზაქარია ფალიაშვილმა, გრიგოლ ჩხიკვაძემ და სხვებმა. მათი მუშაკობით 10 000-ზე მეტი საგალობელი გადარჩა. XX საუკუნეში კი ქართველი ფოლკლორისტების მიერ მოხდა შესანიშნავი მასალის ჩაწერა არტემ ერქომაიშვილისა და სხვა ოსტატებისაგან.
შემდგომ უკვე საჭირო იყო ყოველივე ამის გაცოცხლება, მსმენელამდე მიტანა. ეს მისია ერის წინაშე ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა და მისმა ანსამბლებმა, – „გორდელამ“ და „რუსთავმა“ იტვირთეს და როგორც ჩვენს ხალხში, ისე მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში დიდი ინტერესი და სიყვარული დაიმსახურეს. საგალობლების ღვთისმსახურებაში გამოყენებით კი ეს მისია გააგრძელა ეკლესიამ.
მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ანჩისხატის, სიონის, სვეტიცხოვლის, წმ. სამების საკათედრო ტაძრის გუნდები, ქ-ნი ლია სალაყაია და სხვა ლოტბარნი, რომლებიც ქალაქებსა თუ სოფლებში ერთგულად ემსახურებოდნენ ამ საღვთო საქმეს.
მაგრამ ჩვენს დროში ქართული მრავალხმიანობის შენარჩუნება-პოპულარიზაციის პროცესმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა და საჭირო გახდა არქივებში დაცული სანოტო ჩანაწერების გამოცემა.
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა (ხელმძღვანელი გიორგი დონაძე), კულტურის სამინისტროსა და ფონდ „ქართული გალობის“ ხელშეწყობით 2014 წლიდან დაიწყო ქართული საგალობლების გაციფრება, 2016 წლიდან კი, – გალობის ანთოლოგიის გამოცემა. და, აი, დღეს თქვენს წინაშეა ამ ანთოლოგიის 29 ტომი, რომელიც 6000-ზე მეტ საგალობელს მოიცავს. მათი უმრავლესობა პირველად დაიბეჭდა და გახდა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი.
ეს არის უდიდესი შრომის შედეგი, რაც ძირითადად განხორციელდა წმ. სამების საკათედრო ტაძრის გუნდის ხელმძღვანელის, სვიმონ ჯანგულაშვილის და ჩვენი ცნობილი მგალობლის, ეთნომუსიკოლოგ ლევან ვეშაპიძის ხელმძღვანელობით,

გამორჩეული მუსიკოლოგების, – ქ-ნ რუსუდან წურწუმიას, თამარ ჩხეიძის, ნინო რაზმაძის და მათი უცხოელი კოლეგების, – ბ-ნ ჯონ გრემისა და ერიკ ჰალვორსონის თანადგომით.

მთელი ამ პროცესის გამორჩეული მონაწილეა, წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი, რომლის აღზრდილებიც საქართველოს მასშტაბით მოღვაწეობენ. დიდი მნიშვნელობის ფაქტია ისიც, რომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ბოლო 9 წლის მანძილზე ქვეყნის 32 მუნიციპალიტეტში დაარსდა სალოტბარო სკოლა, სადაც 1000-ზე მეტი ბავშვი უფასოდ სწავლობს ქართულ ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობას.

გამოცემული ტომეულები არა მარტო გარანტიაა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა, არამედ იგი ასევე დიდად შეუწყობს ხელს, როგორც აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ისე სალოტბარო სკოლების მოსწავლეებისთვის ქართული გალობის მრავალფეროვნებისა და სიღრმეების გაცნობასა და შესწავლას. მათ გარდა, ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა ხელმისაწვდომი ხდება ყველა მუსიკოსის, მკვლევარისა თუ მოყვარულისათვის საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც.

და ბოლოს უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მუდმივი მხარდაჭერისა და ფონდ „ქართული გალობის“ გარეშე დღევანდელი შედეგი ვერ მიიღწეოდა, ქართული გალობა ასე ვერ აღორძინდებოდა და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაცულიც ვერ იქნებოდა.

გასაკეთებელი კვლავაც ბევრია, რადგან ხელნაწერთა ნახევარზე მეტი დასაბეჭდია და ფართო საზოგადოებისთვის წარსადგენი. ამ ნოტებში მოცემულია ყველა დღესასწაულისა და საღვთისმსახურო განგების საგალობლები – 8 ხმის სისტების თუ სხვა ლიტურგიკული ტრადიციების თანახმად შექმნილი და სისტემატიზირებული ჰიმნები. საჭიროა მათი დაბრუნება ჩვენს ტაძრებში, რაც ქართული ღვთისმსახურების ოდინდელ დიდებულებას აღადგენს.

ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც ქართული გალობის შექმნაში იღებდა მონაწილეობას და ისინიც, ვინც მის გადარჩენას, დაცვასა და გავრცელებას შეუწყვეს ხელი.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ეკლესიის მგალობლები, ლოტბარები, დირიჟორები, გალობის მკვლევარნი და ამ საეკლესიო ხელოვნების გულშემატკივარნი.

ფსალმუნში ვკითხულობთ: „ნეტარ არს ერი, რომელმან იცის გალობა შენი, უფალო.“

ღმერთმა ამ ნეტარების ღირსი გახადოს საქართველოც, ამინ!

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური